



წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნაშრომი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ დრომატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპან“ სტამბაში. მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ხელოვნება“ იოს. იმედაშვილი

№ 31

წ. 11

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდვება.—ხელთაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 31

ქ ვ ი რ ა 5 ლ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ა

1914 წ.

**5 ლვინობისთვა**

**რა ვეალება დღევანდელ კრებას?**

ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა დაამხო ჩვენი თეატრი, ღვთიურმა ცეცხლმა აღაგოს ახალი!

ეს არის სურვილი მთელი ქართველი ხალხისა, მთელი ერისა!..

მართლა და დიდი უბედურება ჩვენი ქვეყნისა მხოლოდ ის იქნებოდა, რომ ისეთი განძის დაწვას, როგორც თეატრია, უმნიშვნელოდ ჩაეგლო, უცაბედ ზარალის წინაშე ქედი მოგვეხარნა და ბრმა ბედს დაკოროჩილებოდათ!..

არა! დღეს ქართველი სამშობლო თეატრის საშუალებით იმდენად გათვიცნობიერებულია, იმდენად მომწიფებული, რომ ასეთ განსაცდელში სულით არ დაეცემოდა!

და არც დაეცემა! თუ წარსულში მრავალი უბედურება გადავიტინეთ, ურცხველ მტერთ ცეცხლით და მახვილით შემოტყვეს გავუქულით, არა ერთგვით დამხობილი სამლოცველო — ტაძარი ავაგებ მიუფელ კლდე-ღრეებში და მიტეზე — ღვთის სადიდებლად, არც ახლა მოვედრეკთ ქედს ჩვენს საერთო მოულოდნელ უბედურებას!..

ჩვენ გვწყურია სიცოცხლე და ვიცოცხლებთ კიდევ ცეცხლით განწმენდილნი, ქირავების ცრემლებში განბანილნი!..

გვწამდეს, მომავალი გვიღიოს!..

დაღდა წუთი, როდესაც უმხთალი ბედი გამოგვცდის—მართლა საკუთარი ვინაობის დამფასებელნი ვართ თუ არა?


დღეს გამოჩნდება, „ვის უფრო ვეცხვირს, ძმანო, მამული!..“

ყოველმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ იგი არა თუ **ზენობრივად**, არამედ **იურიდიულად**ც მოვალეა თვისი წვლილი არ დაზოგოს თეატრის ასაგებად, რადგანაც თუ ჰსურს ქართველად იხსენიებდეს, თავისი სამშობლო ჰქონდეს, განათლებულ ერთა შორის პატარა კუთხე მასაც დაეთმოს, უეჭველად უნდა აღადგინოს ის ტაძარი, ის დაწესებულებანი, რომელნიც ხალხთა კულტურის ნობის და მისი სიცოცხლის ძარღვის ცემის მაჩვენებელია!..

მართალია ის ერთი დიდათ პატივცემული, ყველა ქართულ საქმეთა გულ-შემატკივარი ქართველი მამულიშვილი, რომელმაც გუშინ წინ ერთ წრეში წარმოსთქვა—მერმის მისში უეჭველად უნდა შეუდგეთ თეატრის აშენებას! თუ ასე არ მოვიქცით, ნურც გვიტარებია სახელი ერისა და ცოცხლივ დავიმარხნეთო!..

და გვწამს, რომ ეს ასე იქნება!.. თავის მხრით ამ პატივცემულმა ქართველმა **ახი თუმანი** (1800 მ.) გადასლო თეატრის აშენებისათვის (ბანკში ძევს და ყოველ წუთს შეგიძლიან მიიღიოთ), და მეტად ბრაზობდა, რომ ზოგიერთნი, მდაბიო ხალხთან შედარებით, შეძლებულნი იცოცხლდნენ მანეთს სწირვენ; ვისაც არ შეუძლიან — მისი კაპეიკი დიდა, ხოლო ვისაც საშუალება მოეძებნება — განა შეზღვევის კაპეიკობით ლაპარაკიო?

და ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვა არ არის, არც თუ თავ-მოსაწონებლად ნათქვამია, — და ჯერ ნუ გაახშიანებთო — იძახის. ამ უმადვლილი გულშატკივრობა საქმისა, სურვილი უკვე ხორცს ისხავს.





დაიწყო შემოწირულება: დიდი და მცირე, ბრწყინვალე თავადი და მრავალი მწუხარება გამოვლილი გლეხი, ვაჭარ-ფულანდარი და ხელდაკორებული შავი მუშა, ბატონი და ხელზე მოსამსახურე, — ყველა, ყველა ერთნაირად განიცდის ჩვენს ეროვნულ დანაკლისს და, როგორც ერთი კაცი, რაც კი შეუძლიან, სწირავენ, რომ კვალად აღდგენილ იქმნეს სამშობლო ენის საკურთხეველი, ქართველი ერის ერთადერთი ტაძარი — სამლოცველო!..

არ დარჩება არც ერთი შვილი ჩვენის ქვეყნისა, ვინცკი ქართველის სახელს ატარებს, ვინცკი წევრია ჩვენის მრავალტანჯული სამშობლოსი, რომ საქმით არ გამოეხმაუროს ჩვენი დანაკლისს შევსებას!..

საქართველო წარსულში ბევრჯელ წვევია დიდი და საერთო უბედურება — შემოსეულს მტერს აუკლია ქვეყანა, ცეცხლისთვის მიუცია იგი.

ამ დროს მთელი ერ, მთელი ხალხი — თავადი, აზნაური, გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, ბერი, მღვდელი, ქალი თუ კაცი, — ერთის გრძობით შეკავშირებულა, ერთის აზრით და მიზნით აღტყინებულა და მით უძლევია ხოლმე თავსდამტყდარი მოულოდნელი უბედურება!

სწორედ დღეს მოგვევლინა ასეთი დიდი უბედურება! და დღემდე ურთიერთისაგან. გათიშულნი ამ უბედურებამ უნდა შეგვაერთოს, შეგვაკავშიროს!

დღევანდელი სულიერი განწყობილება ჩვენის ქვეყნისა სწორედ ამ სურათს წარმოგვადგენს.

თვით თავადაზნაურთა წინამძღოლმა, თავ. კ. ნ. აფხაზმა ითავა და მიიწვია სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლნი სათეატრო საქმეებზე სათათბიროდ და თეატრის აღსადგენ — ასაშენებელად საჭირო თანხის შემკრებ კომიტეტის შესადგენად.

ეს კრება დღეს შესდგება დემუტაჭათა საკრებულოში.

დღევანდელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ შეუდგეს საქმეს, რა დასაბამი მისცეს?

და მკვიდრი საძირკველი ხომ საშვილი-შვილო შერობის საფუძველია.

დღევანდელმა კრებამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ კომიტეტში არჩეულ იქმნეს ჩვენის ქვეყნის კოველი წოდება — წრის წარმომადგენელი, თავადი, გლეხი, მდიდარი ღარიბი, ვაჭარი, მუშა, მოხელე, ყოველმხრივ უმწიკვლო, სანდო მოსაქმე, — მხოლოდ და მხოლოდ თეატრის აშენების საქმით გატაცებული, რომელმაც უნდა გამოხატოს მთელის ერის სურვილი — მისწრაფება!... შემუშავებულ იქნეს შემოწირულებათა შეგროვების წეს — რიგი (გამოიცეს სიები, კუბონები — სხვადასხვა ფასიანი, და სხ.); დადგენილ იქმნეს, რომ თეატრის ასაშენებლად შეგროვდეს თანხა არას შემოხვევაში სხვას არაფერს მოხმარდეს (ჩვენში რომ იციან — შევისესხოთო, — ეს არ უნდა იყოს) და ასვენოს ისეთი თეატრი, რომელიც კერძოდ არცისი იქნება, ხოლო იმავე დროს, მთელ ქართველ პალეს ეკუთვნება, ე. ი. იქნება ქართული ეროვნული თეატრი.

ამ სურვილებით ვუსურვებთ გამარჯვებას დღევანდელ პირველ კრებას, ჩვენის თეატრის საკეთილდღეოდ შემდგარს.

## ნ ა ნ გ რ ე ვ ზ ე

1914 წლის 25 ენენისთვის დაიწვა ქართული თეატრი...

ვინ, ვინ გაქურდა წმიდათა-წმიდა, ვინ დაგვინგრა თავშესაფარი?...

— «ცეცხლმა, ქვესკნითთ ამოტყეხილმა! ცეცხლმა!» ისმოდა ხმა შესაზარი...

საღლა ვეძიოთ აწ სამლოცველო, საღლა ჟღეროდეს ღვთითორი ქნარი?..

— «ნანგრევთა შორის, რღვეულთა ბჭეთა, ნანგრევთა შორის!» — ღმუოლა ქარი...

ასე დანთქა სამსხვერპლო ჩვენი, ასე დაემხო დიდი ტაძარი, და დღეს ვაგლახად მოსჩანდა მხოლოდ გადაბუჯული გარემო მკვდარი...



# როგორ ღაიღუპა ჩვენი ჯიღათა ჯიღა?

ათი ღღეა, რაც აღარ არის ჩვენი—ქართველთა—სულიერი ცხოვრების კერა, ჩვენი ურთიერთობის სამსხვერპლო, დიდი ოჯახი, და ჯერაც კი ვერ შევრიგებდით ამ აზრს...

მაგრამ მწარე სინამდვილე საზარელობას წარმომიდგენს—ლამაზ, კოპწია ხელოვნების ტაძრის ნაცვლად, სახამთრო და საზაფხულო თეატრების მაგიერ, მხოლოდ ჯოჯობეთური ნანგრევები!..

და ისეთი დიდებული მშვენიერება მუდამ მშვენიერების მღალღებელი ჩემ თვალთა წინაშე დაინთქა.

იყო და აღარ არის!

25 წენწისთვე უბედური ღღეა ქართველი მელპომენისა, მაგრამ იქნება იგივე ღღე შეიქმნეს ჩვენი აღორძინება-განახლების პირველ ღღედ!

ნაშუადღევის მესუთე საათზე სტამბაში ჩავედი მორიგი ნომრის გასაწორებლად, რადგან მთელი მასლა აწყობილი იყო უცებ ასოთამწყობმა მითხრა—ქართული თეატრი იწყისო. მეუცნაურა ხმა, მაგრამ როცა განმეორებით მითხრა, —ტელეფონით შევეკითხე თეატრში, მიპასუხეს —თეატრი გვეწყისო. მაშინვე გავეკანე გულგადაბრუნებული, მაგრამ არც სასახლის ქუჩით, არც ერევისის მოედნით, არც სარაჯიშვილის სახლის ეზოთი არ შემეშვეს. ორის მხრით ჯარი და პოლიციელები ჩაეყენებინათ, მესამე ჩაკეტნათ. ირგვლივ დიდძალი ზალხი იღვა თამაშათ. ჩემმა ხეწწა-მუღარამ—შემეშვით, ვიღუპებით, ეგება გადავარჩინო რამე მეთქი, არაფერ ისმინა: კონდახითა და ხმლის ყუით მირიდებდენ.

ამ დროს მეორე მხრით დავინახე ქართ. დრამ. საზ. გამგ თავმჯდომარის ამხანაგი თავ. ნ. დ. ერისთავი. არც მის აძლევედნ გზას. „ნუ თუ ვერ შევიღოთ?“ მომესმა. გულმვიღვარ მომითმინა. გავარღვიე წრე, გავქანდი მისკენ, ხელი ჩავავლე და ორივე თეატრის შესავლისაკენ გავქანდით. მთელ სასახლის ქუჩაზე ორონ-ტრიალი იყო: სკლიდნენ მალაზიებს, ვის ავეჯი გამოჰქონდა ქუჩაზე, ვის თუთუნი, ვის ქურქელი, ვის წიგნები. ცეცხლის მქრობელნი კი შტაბის მხრით მუშაობ-

დენ, წყალს ერევისის მოედნიდან ეზიდებოდენ და შტაბის მხრით აქრობდენ ცეცხლს. თეატრის კარებთან მისულნი არ შეგვიშვეს. მობრძანდა თავ. აზნ. წინამძღოლი თავ. სუმბათაშვილი. არც ის შეუშვეს, ვეუბნებით—მთელი მამულის მეპატრონეა, შეუშვით, მაინც არ შეუშვეს. ამ დროს მოვარდა ხუროთმოძღვარი ტერ-სარქისიანი, უხსნის—თეატრის ამშენებელი ვარ, ვიცი, საით როგორ უნდა მოვეუაროთ, რომ ცეცხლი არ გაღვივდეს, შემეშვით, ეგება უშველო რამეო, მაგრამ არც მას ვაუღღეს კარი. მივიბრინე პოლიციელების თანაშემწესთან—ბნ სტროვეთან, რომელმაც შეგვიყვანა ეზოში. მთელი ეზო აფორიაქებული იყო. გავქანდი თეატრის კარებისაკენ, რომ არქივსა და წიგნთსაცავს მივშველებოდი როგორმე, არ შემეშვეს. თეატრის ფოიედან-ფანჯრებში ისროდენ რაც ხელთ მოჰხვედებოდათ. შევსდექე, თეატრში ცეცხლი არა სჩანდა, ცეცხლის მქრობელთა მთელი რაზმი თეატრის მეორე—შტაბის—მხარეს მუშაობდა, სადაც ცეცხლი მძვინვარებდა. ამ დროს მომიხალღედა თეატრის მეტანისამოსე გ. ქორქაძე. „სულ გადავყარე!“ მომძახხა, —აღბად მიმიხვდა რასაც ვითხავდი. „წიგნებიც?“ — ვკითხე. — „სულ!“ იყო პასუხი. გული დამიარხენდა. მაშ არქივი ვადარჩენილია!\*) ვიფიქრე და ეზოს გადავავლე თვალი, „კაფე-პარიფის“ წინ, საოაც წყალ-ტალპოში გაფანტული იყო დრ. საზ. კანტორისა და „თეატრი და ცხოვრების“ კონება—ყურნალები, ხელთნაწერები და სხ., მაგრამ შეაფები-კი, რომლებშიაიც სამუხეუმო ნივთები, ხელთნაწერები, კლიშეები და მასალები ეწყო, არსად სჩანდა. ამ ნივთების ძიების ფიქრში ვიყავი, რომ თავს „მსხვერპლისა“ და „სინათლის“ ავტორი ი. გედევანიშვილი წამომადგა, გამტკნარებული, კრიკა-შეკრული, მძიმე ღღიმილით ვით ქანდაკება ბრინჯაოსი... ვავიდა თითქმის საათი, აურ ზაფხუნი დიდი იყო, მაგრამ თუ თეატრის მხრით ცეცხლს აქრობდენ, ეს არ ემჩნეოდა. თეატრს საკუთარი ცეცხლსაქრობები აქვს, ეზოშიაც წყა-

\*) არქივი და წიგნები ჯერაც არ გამოჩენილა



ლია, მაგრამ არც ერთი ამითი არ უსარგებლ-  
ნიათ: წყალი უშუაღდესვე დაშრაო. ცეცხლის  
გაჩენისთანავე (ცეცხლი გაჩნდა სწორედ მა-  
შინ, როცა თეატრში არავინ იყო, — 3—6 საათ.  
მუშაობა სწყდება) მოვარდნილიყო თეატრის  
ერთი მუშათაგანი, რომელსაც სკოლანდა  
სცენაზე ცეცხლის საქობის საიდუმლო გასა-  
ღებნი, ემუდარნა—შემიშვით, ან წამომყე-  
ვით, გაჩვენებთ რა გზით ჩავაქროთ ცეცხ-  
ლიო, მაგრამ არავის შეესმინა. ვიდრე ცეცხ-  
ლი გაძლიერდებოდა და თეატრს მოედებოდა,  
თეატრის დირექტორს, ი. გვედევანიშვილს,  
შეენიშნა თუ არა ბოლი თეატრის მარცხ-  
ნივ ფანჯარაში, ხელი წაველო ცეცხლის ერ-  
თი მქრობელისათვის და შეხვეწწროდა: წამომ-  
ყე, აქვთა მხრიდან მიუშვირე საქობი, რომ  
ცეცხლი სათავეშივე ჩააქროთო, მაგრამ  
ცეცხლის მქრობელს ეთქვა—ბრძანება არა  
მაქვსო. .

როგორ განჩნდა ცეცხლი?

„კაფე-პარიზის“ სამხარეულოდან იფეთქა  
ცეცხლმა, ერთნი ამბობენ, ოპერეტის მეტანი-  
სამოსე ივანოვმა აანთო ჰბენზინა“, რომე-  
ლიც იაშიკში შეეღვა, გადაბრუნდა და იქი-  
დან გაჩნდაო, ზოგნი ბოზარჯიანცის თამბაქოს  
საწყობს აბრალებენ, მაგრამ სწორედ არაფე-  
რია გამოკვლეული.

ვიდრე ცეცხლი გაძლიერდებოდა, ვიღაც  
საქუეო სახის სულიერნი ჰლოწენენ და ანა-  
ღაურებდნენ, რაც შეხვედებოდათ, — ვითომ და  
ვშველით, უნდა გადავარჩინოთო, მქრობელ-  
თა შორისაც ბევრი ჯიბე-უბისკენ იკრავდა  
ხოლომე, რასაც მოჰხელოვდა, ზოგნი მაგარ სას-  
მელთ ეწაფებოდნენ და კონსერვების კოლო-  
ფებს სტებდნენ და სთქველფავდნენ, საღამოთი  
დაარბიეს პარიკმაგერ გიორგი ვერბი-  
შვილს სახელოსნო და 250 მანეთამდე ახა-  
რალეს. — ისეთი სურათი იყო, თითქო მტე-  
რი შემოსევიაო. მხოლოდ ქართველი ახალგა-  
ზღობა თავგამოდებით მუშაობდა და სკლი  
ლობდა გადაერჩინა რამე. . .

ბინდისას ჩაიწვა ქარვასლის მარცხენა მხა-  
რის (გალერის შესავლისკენ) რამდენიმე თვალი.  
იქ შთაინთქა ქ. შ. წ. კ. სახ. წიგნის საწყობები  
(დაუზღიერველი, ზარალი 60-70 ათას მანათამ-  
დნა), წინგთ მკაზმანნი, სადაც წ. კ. ს. სა-

ხელმძღვანელოები მზადდებოდა და სხვა  
კერძო სავაქრო ბინები. მალე ცეცხლი თე-  
ატრს სწვდა. . . ამ დროის განმავლობაში აფეჯს,  
წიგნებს, დეკორაციებს და სხვას, რაც-კი  
ხელში მოჰხვედებოდათ, ეზიდებოდნენ „ხაკ-  
რჩისა“, „სახ ფურც.“ რედაქციასა და სარაჯი-  
შვილის სახლის ეზოში. თავზარდაცემული წ.  
კ. ს. მაღაზის გამგენი მაღაზიას ჰაიპარად  
სცლიდნენ, — დიდალი წიგნი დაეღუპათ, რა-  
დგან წიგნებს სასახლის ქუჩის მხრით ქუჩაზე  
ისროდნენ. ქარვასლის მთელს ეზოში და კა-  
რებზე მიმოზნეული იყო ჟურნალ თეატრი  
და ცხოვრების ნომრები და ნასყიდაშვილის  
კანტორიდან გამოყრილი ჟურნალ-გაზეთები,  
დაღამებისას თეატრს შეხვედნე წინიდან.

შაყყითელი ბოლი გველეშაპის ენებივით გამოქ  
შუვედა თეატრის წინაპირის (ფასადის) მაღალ  
სამ თვალში, მის წიგვთ, სადაც მუშეთა აღაღ-  
მები სდგას. ბოლი თანდათან გაწითლდა,  
უტებ იგრილა, გაისმა მძიმე, საზარელი გრუ-  
ხუნნი: მოიშველა თეატრის ქერი და პარტერს  
დაეცა. . . და წუთს თითქმის ყოველივე მიყუჩდა.  
ცეცხლმა გაიშარჯვა!

სწორედ ამ დროს გვერდიდან მომესმა ქა-  
ლის საზარელი შეწივლება, ტირილი და თავ-  
პირში ხელის ცემა. . . „წყალი, წყალიო!“ ჰყვი-  
როდნენ გარეშენი. მივიხედე და თაღებში  
გამოწყობილი, ჯანღონით სავსე, ლამაზი ქა-  
ლი დავინახე, ოდნავ ჩაჩოქილი, სასომიხილი. . .

და იმავე წუთს წარმომიდგა სამშობლო  
ჩემი, ჩემი ქვეყანა, სამგლოვიარო ძაძით მო-  
სილი, რომლის მწუხარებას აღარ უჩანს ბო-  
ლო. . .

მუხლთ ჩამეკეცა, თითქო გული გამიქ-  
ვავდა, ნერწყვი გამიშრა, ვეღარასა ვგზრძნობ-  
დი და ბედკრულვილი, თეჩაღუნული გავე-  
ცალე ჩემს მშობელ კერას, ჩემის სულის  
საუნჯეს, ასე უტაბედლად, ასე უფუნურად  
დანთქმულს! . . .

სულ სამი დღე არ იყო, რაც აქ ვიხი-  
ლეთ „მსხვერპლი“, ნარუქი უდიდესი მსხვერ-  
პლისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ 7—8  
წლის წინად შესწირა; ჯერ ორი თვე ძლივ-  
საა, რაც ჩვენმა სამშობლომ დიდი, დიდი  
მსხვერპლი უძღვნა საერთაშორისო ომიანო-



ბას, და ნუ თუ კიდევ ასეთი უცაბედი მსხვერ-  
პლი გვეჭირვებოდა კიდევ?...

მეორე დღეს გულის ფანტაზიით წარ-  
ვემართე ჩემი წმიდა ტაძრისაკენ, სადაც  
დღე მუდამ—დილა-სალამოს—ჩემს ღმერთს  
მსხვერპლს ესწირავდი ხოლმე...

ვიფიქრე იქნება სიხმარი იყო მეთქი,  
როგორც იქნა შემეშვეს და—ვაჰმე! მხო-  
ლოდ შერუქული კედლები, ოდნავ ბოლის  
ხრჩოლვა! პარტერს გადავხედე, ლოჯებს  
თვალი ავაღვლე!.. სადღაა? მხოლოდ ნანგრე-  
ვი, ნანგრევი! და ზევიდან უსაზღვრო ცა  
დაჰყურებს. პარტერში მარცხნივ, ლოჯის  
ლოჯის კუთხესთან, მხარ-მომტვრეული ქან-  
დაკება-ლა გამოიყურება, სევდის მომგვრე-  
ლად შებოლილი, თითქო ჰგლოვობს უდ-  
როვოდ დანთქმულ მწვენებსაო! აველ  
ბაღში და უფრო შეაგნელო სურათი აქა ვნა-  
ხე: მარტოოდენ აგური და ნახშირია. ბაღში  
მიყრილ-მოყრილია ვითომ და გადარჩენილი  
ავეჯი, მაგრამ იგინიც კაცთა ხელით დაზი-  
ანებული. ბაღის ერთს კუთხეში ჯგუფად  
იხსდნენ ქართ. დრამ. დასის მსახიობნი, რო-  
მელნიც ღრმა ღუმილით გაჰყურებდნენ დანთ-  
ქმულ კერას!..

უკან გამოვბრუნდი. ფოიეში ვერ  
გავიარე, საში შიდა!... ნანგრევის შიშის  
ხარს ცემენ, ყინვასა ჰგრძნობთ... მკი-  
ვით!.. რაღაც მიმიღე ღორი გაწევბათ. და იქ,  
სადაც ანგელოსთა ტკბილი ხმით იწვებდით,  
სადაც სულით ზეკაცდებოდით, აწ სიკვდი-  
ლია... გამოველ და ერთხელ კიდევ შევხე-  
დე წინაპირს. რაღაც განგებით მალა უფნებ-  
ლად სდგანან მშვენიერებისა, სასცენო ხელო-  
ვნებისა და მუსიკის მუზანი, ხოლო მათ  
ზევით-კი დიდებული შექსპირის შერუქულ-  
შებოლილი გამოკვეთილი სახე.

სიანს ძლიერმა ცეცხლმაც ვერ შთანთქ-  
ადამიანის სულიერ შემოქმედების აღმაფართოვა-  
ნებელნი და მსოფლიო ჰენიოსი.

ნუ თუ აღარ აღსდგება ის ტაძარი, რო-  
მელიც მუდამ მშვენიერებისა და სილამაზისა-  
ცამი მისწრაფებს გვიწრგავდა, გვაძალღებდ,  
გვწრთნიდა, გვადაამიანებდა?!

უნდა აღსდგეს!

იოსებ იმედაშვილი



რუსეთის გამოჩენილი მკაცრნი  
ი. მ. ლერმონტოვი  
(დაბადებიდან ასის წდას შესრუდე-  
ბის გამო.—წერდა იხ. შემდეგ  
ნომერში)

### ახალი ქართული თეატრი \*


„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა...  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვთ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.“

#### ი. ჭავჭავაძე

ქართული თეატრი დაიწვა. მიმე უბე-  
დურება დაგვატყდა თავს. ყველა გლოვამ  
მოგვიცვა. მაგრამ „ქირსა შიგან გა-  
მაგრება ასე უნდა ვით ქიტკირსა“; სიმხნე-  
ვე არ უნდა დავკარგოთ, სულით არ უნდა  
დავეცეთ. ერთი თუ დაიწვა, მეორე ავაშე-  
ნოთ... „იგი წაა და სხვა მოვა ტურფსა  
საბაღნაროსა“. თქვენა ბძანეთ, მხოლოდ  
„უხლი გულმოდგეს“, ხალხში სურვილი იყოს,  
ახალი თეატრის აშენების საქიროებას გრძნო-  
ბდეს, თორემ ახალის აშენება არც ეგრე ძნე-  
ლია, როგორც შეიძლება გვეჩვენებოდეს.

ქართველ საზოგადოებაში რომ ამის სუ-  
რვილი არის, რომ მტკიცედ სწამთ და უნ-  
დათ კიდევ თეატრის აშენება, ამას მოწმობს  
უკვე დაწყებული ხელის მოწერით ფულის  
შეკრება ამ მიზნისათვის.

ამას გარდა ჯერ კიდევ ფართოდ არ არ-  
ის გავრცელებული ცნობა ამ ახალი უბედუ-  
რების ამბისა, თორემ მე დარწმუნებული ვარ,  
თვით მივირდნოლ და შორეულ კუთხიდანაც  
კი მოითხოვენ ახალი თეატრის აშენებას და  
თავიანობის საკითხს არ დაიშურებენ.





მაშასადამე, ხალხი არამც თუ თანაურ-  
ძნობს ამ აზრის განხორციელებას, არამედ  
მტკიცეთ და გადაჭრით მოითხოვს, რომ **ახა-  
ლი ქართული თეატრი აშენდეს**.

ესლა იმას მივაქციოთ ყურადღება, თუ  
რა გვარი თეატრი აშენდეს,—ე. ი. ძველი  
აღსდგეს მკვდრებით, როგორც ზოგიერთნი  
სურვობენ, თუ სულ ახალი აშენდეს ახალს  
ადგილზე, საკუთარი, დამოუკიდებელი, მიუწყე-  
ბებელი ვისთანმე?

ჩემის აზრით სწორედ ეს მხარე ამ დიდი  
საგნისა უფრო მეტს ყურადღებას თხოულობს  
ჩვენგან, ვიდრე ზოგს ჰგონია. ეს არც ისე  
უბრალო და უმნიშვნელია საგანია, რომ ყუ-  
რადღება ამ თავითვე არ მიექცეს.

მართლაც, ძველს ადგილას თეატრის  
აშენება და ისევ ძველი პირობების შექმნა,  
იქნებოდა დიდი და უპატივებელი შეცდომის  
განმეორება

მართალია, დამწვარი თეატრი სახელით  
ითვლებოდა თავ-აზნაურობის საკუთრებად,  
მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ იგი ნამ-  
დვილად მთელი ქართველ ერის სიამაყეს შეა-  
დგენდა.

აგრედვე ისიც კარგად ვიცით ყველამ,  
თუ ჩვენი ღარიბი თავ-აზნაურობა რა დიდს  
მსხვერპლსა სწირავდა ჩვენს საერთო საქმეს  
—თეატრს.

მაგრამ მაინც ქარ. დრ. საზოგადოება  
ვერა გრძნობდა თავს სასურველს მდგომარე-  
ობაში, იმიტომ კი არა, რომ ფული აკლდა  
ხოლმე, არამედ იმიტომ უფრო, რომ ქართუ-  
ლი თეატრის ბატონ-პატრონი თითონ ვერ  
იყო; თავ-აზნაურთა საკრებულოს კინაზნობაზე  
იყო ძალიან ხშირად დამოკიდებული: ქარ-  
თულ წარმოდგენებს ექნებოდა ბინა, თუ  
უბინოდ-უთეატროდ დარჩებოდა ქართული  
დასი. აგრედვე ყოველს, მცირედნად გავ-  
ლენიანს თავ-აზნაურთა მოხელეს შეეძლო  
შეეჭვებინა დრ. საზოგადოების ნაყოფიერი  
მუშაობა უდროვოდ-დროს, ან და შეეფერხე-  
ბინა მაინც. ამის გამო დრ. საზ. გაშვებობას  
ხშირად ჰქონდა ხოლმე უსიამოვნება და  
მიხლა-მოხლა თავ-აზ. საკრებულოსთან, თუმ-  
ცა უკანასკნელ ხანს დამოკიდებულება გაუმ-  
ჯობესებული იყო შედარებით წინანდელ  
დროსთან. ამას გარდა ბევრი სხვა პირობებია  
ისეთი, რომლებიც გვჯერანახებენ, რომ

ძველს ადგილას თეატრის აშენება შეუძლე-  
ბელია. ამ პირობების ამ ყამად ჩამოთვლა  
ბევრს დროსა და ადგილს წამართმევდა და  
ამიტომ შემდეგისთვის გადავდებ.

ამ რიგად გვჩვენა მისაღებად მეორე  
აზრი — ე. ი. **უნდა აშენდეს ახალი ქარ-  
თული თეატრი ახალს ადგილას, საკუ-  
თარი**, არავისი კუთვნილი გარდა მთელი  
საზოგადოებისა ქ. დრ. საზოგადოების სახით.  
ის იქნება მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი.

ამ საეროვო თეატრის აშენებაში ყვე-  
ლამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა: დიდმა  
და პატარამ, ქალმა და კაცმა თავ-აზ-  
ნაურობამ და გლეხობამ, მრეწველმა და მუ-  
შამ, მდიდარმა და ღარიბმა, ერის კაცმა და  
სამღვდელოებამ, ქველმოქედმა და კრიჟან-  
გმაც კი, ერთის სიტყვით ყველა ქართველმა  
განურჩევლად სარწმუნოებისა.

და როდესაც გადავხსნით ჩვენს გულთან  
ერთად ჩვენს ჯიბესაც, მაშინ ის დამწვარი  
თეატრი აღსდგება მკვდრებით ახალს ადგილ-  
ზე, უფრო გამშვენებელი, უფრო  
დიდებული და უფრო მეტად საყვარელი  
ყველა ქართველისთვის.

იქ განსეტაკდება ჩვენი გული სამაგლი-  
თო ხელოვნებით დადგმულ წარმოდგენების  
მეოხებით და იქ აყვავდება ჩვენი დრამატიუ-  
ლი ლიტერატურაც.

მაშინ ყველანი — შინაურიც და გარეუ-  
ლიც — დინახვენ, რომ ჩვენისთანა ღარიბს,  
მაგრამ სულით მდიდარს და მტკიცე ხალხსაც  
შეუძლიან თავის კულტურულ საქმის დიდე-  
ბულად დაგვირგინება! შეუძლიან ხელოვნო-  
ბის მშვენიერი ტაძარი აღმართოს და იმ ტა-  
ძარში ყველა ჩვენგანი შევა ამაყად, გულ-  
ხალვათად, ჩვენის გულის სიმტკიცესა და  
ძლიერებას დარწმუნებული... ეს დიდი  
გრძნობა გავვიკვლევს ფართო გზას ცხოვრე-  
ბის მიმეე ასპარეზზე.

ქართულ თეატრს საკუთარი შენობის-  
თვის ნურაფერს დავზოგავთ; ხელი ხელს  
მივცეთ და შეუდგეთ საქმეს ესლავე, დაუყო-  
ვნებლივ, რომ ორიოდვე წელს დამთავრდეს  
კიდეც \*)

**დ. ნახუცრი შვილი**

\*) ბ. რედაქტორო, ამასთანავე გაუწყებთ, რომ  
ჯერ-ჯერობით შეკრებილი მაქვს ამ მიზნით ხელის მო-  
წერით 79 მ., რომელსაც თავის დროზე ჩავაბარებ იმ ორ-  
განოს, რომელსაც დავალებული ვქნება თეატრის აშენება.



# ს ა ნ თ ლ ე ბ ი

შორს, ზურმუხტის ფერ სივრცეს იქით სანთლები სჩანდა, დასასვენებლად მიიწვედა იქ მგზღვაური..

ერთხელ ზღვა გასწყრა, აირია, გაეჩინა და: ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურ-ზაური და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა!


მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს, მისთვის ერთია—სად დახუქავს ოცნება თვალებს, მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს .. როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!!



მსახიობი

ზ. მ. ხაჯარაძე

ნაძალადევა თეატრის რეჟი-სორად მიწვეულა.



## ს ი ც რ ც ხ ლ ე მ წ უ რ ი ა ! !

სალამო ხანია..

მზის ჩამავალი სხივები უსანდომოდ ესაღ-მებთან დღის სინათლეს და ალის ფრად იღე-ბება დასავლეთი.

მთელ დღეს მოეჩვიევე ჩიტუნებიც დაბურულ ტყეს შეეფარენ; აღარც შაშვის ჩვეულებრივი ჭახუბი აფხიზოებს ქალის მიღ-მოებს! მთიდან მოცქირილე ნაკადულიც ზანტად მოიზღაზნება ქალის ხვეულებში.

მუდამ მოშრიალე ქანდარიც ჩაყურდა და სიციხე-პაპანაქებით დაქანცულ ფოთლებს ყურები ჩამოუყრიათ.

არა ჩვეულებრივი გამაბრუებელი, საი-დუმლოებით მოცული სიჩუმეა ყველგან ..

სიჩუმე სამარისებური!..

მხოლოდ ქედანის დამაღონებელი, სევ-დის აღმძვრელი დუღუნე მოისზის და მას ბანს აძლევს ქოტის საბედისწერო ჩხავილი!..

ჭგლოვს ბუნება!..

ქაბუკი პირმშო მკერდზე მიუსვენია მშო-ბელს და ცეცხლ-მწველი ცრემლით უნაზეს ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან მიმჭკნარ სახეს.

ქაბუკის მიმჭარლ თვალებში კი მაინც ცხოველ-მყოფელობის ნაპერწკალი ღვივის:

— დედა, დედაჩემო!.. რათ მომანიქე სიცოცხლე, უნაყოფო და უშინაარსო იქ-ნებოდა ჩემი ცხოვრება?!

მშობელი სდუმს.. და კვლავ აიაზმასა-ვით ცრემლის ნაკადულს აპკურებს მის ერთად-ერთ იმედს..

— დედა, სიცოცხლე მწყურია!..

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები მომაკვლა-ვისა.

მთის ვადაღმიდან პირსავსე მთვარემ ამოჰ-ყო თავი... და ქაბუკის გაყვითლებულ სახესაც მიმოაბნიალია სარკმლადან ვერცხლის შუქი.

გ. მუმლაძე

## მ ე არ ვ ი ც ი ..

მე არ ვიცი, ჩემის ჩანგით ვინ ვადიდო, ვის უმღერო, ვის მიუძღვნა საწინდრად შენახული ვარდის ღერო?

ჯერ არ ვიცი, ვის ვეკუთნი და რას მომცემს მომავალი, — მაგრამ მაინც გულს მიღვივის მისწრაფების ცეცხლის ალი!.

ოხ, მითხარით, შემასწავლეთ საით არის მშობლის კერა, რომ გავშალო ლაღად ფრთები და მოვმართო ჩანგის ძღვერა: დავეწიო წინამორბედთ და ვაუწყო ჩემი ურვა.

აღარ მინდა ზღვის ჰანგები, აღარ მინდა ზღვაზე ცურვა, — მე მსურს მხოლოდ ზვარა ვიყო მაღალ რწმენის სადიდებლოდ.. მაშ მითხარით, ვის ვეკუთნი, ვის მივეძღვნა წმიდა მსხვერპლად?!

ი. დაროშვილი



მედიკ სეცენის მოყვარე მუშა ბესო მისურაძე (იბ.. თ. და ც. № 29)

# ოგუი ღაჭ-



კაპ. ან. მაქს წუწუნავა  
დაჭრილი 17 ჰგვისტოს ომში.



პორუჩ. ილ. რცხილაძე  
მოკლული

# ჩილნი



კაპ ა ანდრონიკაშვილი  
ღვთოთან დაჭრილი.



შტ.-კაპ. ლევ. გრ. გაბაშვილი  
მოკლული.

## ბრძოლის ველზე

სარდალმა ხელი გაიქნია და კვლავ გა-  
ჩაღდა ბრძოლა...

ბრძოლა იყო საშინელი. შეუბრალებე-  
ლი... შემოდგომის მიწა იფარებოდა ურიცხვ  
ახალგაზღვებით... მათ უკანასკნელ თვალის  
დახამხამებაში, სულის განშორების ქაშა, ამოი-  
კითხავდით: „ეჰ!.. დედა... ცოლშვილო...  
უპატრონოდ მიტოვებულო... სად დავიმარხე...“  
ღიად, ადამის ძენი უმოწყალოდ მუს-  
რავდენ ერთმანეთს და ავიწყდებოდათ, რომ  
ადამიანები იყვნენ...

ნიკო მღუმარედ იდგა,—იგი სხვა  
მეომართავან ირჩეოდა... მისი თანამომენსა

დახოცილიყვნენ და ეხლანიკომათს ათას გვა-  
რად დასახიჩრებულ, სახეთ თვალცრემლიანი  
გაპყურებდა ..

ნიკოს რაღაც აგონდებოდა, გული  
ბოლომთ ევსებოდა და ლამობდა კოდვის ად-  
გილიდან გაპარვას... მაგრამ ჟვინამე და ვინ  
ლაჩრობა!.. წარმოსთქვა: „მოხდეს, რასაც  
სული მუდამ წამს ელის“ .. ხმალ-ამოღებული  
მივარდა მოწინააღმდეგეს; მაგრამ უტბათ  
გაშეშდა...

—რას გერჩი, საბრალო?... ვინა შენც ჩემი-  
სთანა ადამიანის შვილი არა ხარ?..

ჩუმად ეუბნებოდა ერთ მეომარს და  
ღრმად აკვირდებოდა თვალეში“ უეჭველია  
გეყოლება ცოლშვილიან მოხუცი დედა... რა  
უფლება მაქვს მოუკლა მარჩენელი?..“

წარმოსთქვა შუა ლაპარაკში...

ამ დროს ორმა ჯარის კაცმა შენიშნა  
მათი საუბარი:—

— „აღზად ღალატს ჰქმნიანო!..“ წამოი-  
ძახეს და ერთმანეთს ანიშნეს:

— მოჰკალით


მოჰკლეს... ჟვინამე, დედა სად მოგვედინა?  
რომელ ცის ქვეშე?!

ზარბაზნები გრიალებდნენ, აგერ  
უტბად შუა ჯარში ჰავრიდან ცეცხლი გაჩნ-  
და: რამდენიმე კაცი ბურთსავით აისროლო...  
ხოლო მკვდარი ნიკო და მეორე მეომა-  
რი აღარსად სჩანდნენ...

.. ცეცხლმა ჩანთქა!...

ი. ჯიხაიშვილი





დამწვარი თეატრი(ბალის მხრით)

## დაიწვა კველი—გაუმარჯოს ახალს!

ძართული თეატრის დაწვამ მთელი შეგნებული საქართველო აამოძრავა და ყველას ერთი აზრი წარმოათქმევინა—**აშენებულ იქმნას ახალი ქართული ეროვნული თეატრი.** ჟურნალ-გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რა მძიმე ებედურება დაატყდა თავს მთელ ქართველ ერს, მაგრამ ამავე დროს, ღრმად რწმენას გამოსთქვამენ, რომ ქართველი ხალხი ამ უბედურებას დასძლევს და ხელოვნების ახალ ტაძარს ააგებს.

„სახალხო ფურცელში“ ს—ა სწერს: „დადუშა ჩვენი შეღებოქმენა აღარ არის ქართული თეატრი, დაიმსხვრა ჩვენი საფუძრული ტაძარი, ჩაქქრა დამპყრობი ჩვენი ტანებისა, ადფრთოვანებისა, უძვირფასესე, განცდათა შემოქმედების და იმედის. აღარა გვაქვს ჩვენი ეროვნული საკრებულო, სადაც ასე თუ ისე ვსჯდავდით ჩვენი მაჯის ცემას, ვგრძობდით ეროვნულს სულისკვეთებას, გვესმოდ ჩვენი ერის სმა და ახლა ამის ნაცვლად ჩვენ წინ მხოლოდ ფერფლია, შესაზარი ნანგრევი და განადგურება...“



უნდა გულისხმობდნენ ვიტიროთ—სატირა-  
ლია ესეთი დიდი უბედურება, რომელიც თით-  
ქის რაღაც სიმბოლოურად გვიხატავს იმ  
სურათზე განსხვავდეს, რომელიც გამოჰყვია  
ჩვენს მრავალტანჯულს ერს თავის პირდაპირ  
ტრაგიკულ ისტორიის განმავლობაში.. მატრამ—  
მინდა განსაკუთრებით სახა გაუსვა ამ „მატ-  
რამსა,—ზრ გემართებს ტირილი, ცრემლები არ  
უნდა დანახოს ჩვენი თვალი და მწარე განცდამ  
არ უნდა შეასუსტოს ჩვენი სუნთქვა, ვინაიდან  
არ უნდა დავუკნოთ სულით, უბედურებამ არ უნ-  
და გაგვტყუოს და ამ განსხვავდეს ისე უნდა  
შეხვდეთ, როგორც შეჭვივრის ჭირში გამოწრთო-  
ბილებს. გაათავებულის სიმხნით და ენერგიით  
შეუვადეთ მუშაობას, რომ რაც შეიძლება მალე,  
მალე წარვხრეთ თოვლიანი კვალი დღევანდელ-  
დის უბედურებისა და უფრო გამოვჩინებულის  
სახით აღვადგინოთ, რაც დავკარგეთ, აღვადგი-  
ნოთ უკვლახე უწინარეს ჩვენი თავისუფალი  
შემთქმელების და ხელფანების ტაძარი — თეა-  
ტრი!..“

**გაზ. „თემი“ (№ 188) „ჩვენი დიდი  
უბედურების გამო:** „თეატრი!.. რომელს ძვირ-  
ფასს რამეს შეიცავს ეს სიტყვა ქართველი კა-  
ცისათვის! თუ გადვხსნამ ქართული საქმი-  
ეო დაცული, ეს მხოლოდ აქ!..

ეს დიდი ტაძარი, სადაც უოველი ქართ-  
ველი ევედრებოდა განგებას უკეთეს მომავლის,  
რაც შეიძლება, მალე მოახლოვდება..

და აი ეს წმინდა ადგილი განქრდა ..

ახლა დრო არის დამნაშავეთა ძიებისა.. ამას  
მოვასწრებთ.

კისრად გავწევს სხვა მოვალეობა, მძიმე,  
მაგრამ სახატო.

უნდა უოველი დიდი ვიდიროთ, უვლად სა-  
შუალება გამოვქინოთ, შევქმნათ თანხა და  
ხელახალი სათეატრო შენობა ავაგოთ.

ეს ჩვენ შეგვიძლია!

ეს რომ არ შეგვიძლებოდა, ვერც აზრები  
წარმოგვათქმევინებდა დიდიან — პატრიანა თეატ-  
რის დაწვის ამის პირველ გატონებისთანავე  
სიტყვებს: „ხეზევ უნდა შევატროვოთ თანხა ასა-  
ლი თეატრის ასაკებად!“

არ უნდა დარჩეს არც ერთი ქართველი,

შინ თუ გარედ, რომელმაც თავის წვლილი არ  
შეიტანოს ამ დიდ საქმეში.

აზრები უნდა მოერიდოს წვლილის სიმ-  
ცირეს. ვისაც რამდენი შეუძლია, იმან ის  
გადაოს ..

თანხის შეგროვებას ახლავე უნდა შე-  
ვუვადეთ.

გადადება არც ივარგებს, არც შეიძლება..  
იმიტომ, რომ საკადრისი არ არის.

უნდა გამოვჩინებოთ ჩვენს ერს ეროვნუ-  
ლი სულის სიმძლავრე!..

ჩვენ უნდა ავაგოთ ხელახლად ჩვენი გან-  
ვითარებული ხალხის დირსული ტაძარი!..“

**რუსულ გაზ. „ზუკ. ჩენში“ გრუზინი**

სწერს: „ დიდი მწუხარება ეწვია ქართველ საზოგა-  
დობას. დაწვა ქართული თეატრი, ჩაქრდა კანდე-  
ლი, რომლისკენც უზომო სიყვარულით იყო  
მიზნობილი უოველი ქართველის თვალი და  
გული, დაიღუპა წ. კ ს. წიგნთსაწილობი, საი-  
დანაც მოელ საქართველოს სახელმძღვანელო  
წიგნები ეფინებოდა, დაინთქა დრამ. სახ. მდი-  
დარი სათეატრო წიგნთსაცავი, დასარაღდა ასა-  
ლი კლუბი, მძიმე ზარალი მიეცა ქართველ  
თავდაცნაურობას. .

უოველი ხალხი მიტომ ცხოვრობს, რომ  
ხელახლა განმრავლოს თვისი კულტურუ-  
ლი სიმდიდრე. უოველი ჩვენთაგანის სიცოც-  
ხლის ჭეშმარიტი აზრი და მიზანია—იმუშაოს  
ხალხის კულტურული ამაღლებისათვის. ამ მიზ-  
ნის მიღწევისათვის ადამიანი გონივრულ იწყო-  
დებ, სიცოცხლეს სწირავდენ, ჭეშმინდენ დაწე-  
სებულებათ, რომლებშიაც სცემდა გული ხალ-  
ხისა, სიცოცხლობდა სული, ჭეშუდობდა სამშო-  
ლოს წმიდათა წმიდა..

რამდენიმე საათის განმავლობაში, ჩვენ  
თვალ წინ, ჩინთქა ეს დაწესებულებანი, შექმნილ-  
ნი ქართველ ხალხის შრომით, განქრდა იგი  
წმიდათა წმიდა, შეისდგა ხალხის გულიან ცემა..

დიად, მხოლოდ შესდგა!

ხალხი, რომელსაც სწურობის კულტურული  
ცხოვრება და სწამს თვისი მომავალი, საქმი-



ძალას მოაკრებს, რომ ეს უბედურება გადატანის დაფერ დეიდან :სალი დაწესებულია ალაღ-გინოს...

თეატრალუ ლებელა ხალხისათვის. თეატრი—ხალხის სკოლა, თეატრი სახალხო კულტურის მამოძრავებელია.

